899.962 1.092
ქ-142

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ქადაგიძე ია

პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთმიმართების საკითხი

მიხეილ ჯავახიშვილის სამი რომანის მიხედვით („თეთრი საყელო“, „ჯაყოს ხიზნები“, „გივი შადური“)

10.01.01 – ქართული ლიტერატურა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2002

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი – **მიშველაძე რევაზ,**
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი
(10.01.01)

ოფიციალური ოპონენტები: 1. **სოსო სიგუა,**
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი (10.01.10)

2. **ინგა მილორავა,**
ფილოლოგიის მეცნიერებათა
კანდიდატი, დოცენტი (10.01.01)

დისერტაციის დაცვა შედგება 200.3 წლის 25/4 11⁰⁰ საათზე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ფილოლოგიის დარგის (10. 01 №5) სადისერ-
ტაციო საბჭოს სხდომაზე

მისამართი: 380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1
დისერტაციის გაცნობის შესაძლებლობა „თსუ" სამეცნიერო ბიბ-
ლიოთეკაში
მისამართი: 380047, თბილისი, უნივერსიტეტის ქ.№2

ავტორეფერატი დაიგზავნა 200.3 წლის 12/3

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი, ფილოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

-1881-

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა: დიდი ქართველი მწერალი მიხეილ ჯავა-ხიშვილი XX საუკუნის დასაწყისში გამოვიდა ლიტერატურულ ასპარეზზე. ახალმა საუკუნემ ახალი მოთხოვნები წამოაყენა, რის შედეგადაც წინა პლანზე გამოვიდა პროზა. ჟანრული თვალსაზრისით წამყვანი ადგილი რომანმა დაიკავა.

რომანი – ახალ მოთხოვნილებათა გამოსახვის ყველაზე მისაღები, მაგრამ ამავე დროს რთული და ტევადი ნაწარმოები სტრუქტურული თვალსაზრისითაც იცვლება.

თუკი მანამდე რომანის ცენტრში სოციალურ–პოლიტიკური მოტივი დომინირებდა, ახალმა ეპოქამ წინა პლანზე ადამიანის ფსიქოლოგიური არსის წარმოჩენა დაისახა მიზნად. ახალ საუკუნეს აქცენტი პიროვნების შინაგან პლასტებზე გადააქვს, მისი სიღრმისეული სამყარო აინტერესებს.

ობიექტური სინამდვილის ანალიზი სუბიექტურ თვალთახედვას უთმობს ადგილს.

მიხეილ ჯავახიშვილმა პირველი მოთხრობა 1903 წელს დაწერა. „ჩანჩურა" „ცნობის ფურცელში" გამოქვეყნდა. რედაქციის წევრებმა ახალგაზრდა კაცის სამწერლო მონაცემები ჯეროვნად შეაფასეს და ჯავახიშვილი გაზეთში სათანამშრომლოდ მიიწვიეს. ეს გახლდათ მწერლის პირველი წარმატება სამწერლო ასპარეზზე.

კრიტიკა მიხეილ ჯავახიშვილის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლას დადებითად შეხვდა. დაინახეს რა ახალგაზრდა მწერლის ნიჭიერება, განათლება, ადამიანის სულიერ სამყაროში წვდომის უტყუარი ალღო და ეროვნული სულისკვეთება, იგი ერთხმად იმედისმომცემ შემოქმედად აღიარეს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია კიტა აბაშიძისა და ივანე გომართელის მიერ ჯავახიშვილის, როგორც მწერლისა და პუბლიცისტის მაღალი შეფასება.

ბუნებრივია, ამგვარ სწრაფ აღიარებას ჯავახიშვილი სავსებით იმსახურებდა. მის მიერ შექმნილი მოთხრობები პატარა, ჩაგრული ადამიანების შესახებ ცხოვრებისეული გამოცდილების